გადარჩენილი ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 15 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) - “კრ. სოვეტოვი” (კუიბიშევი) - 1:1 (0:0).

“კრ. სოვეტოვი”: სოკოლოვი, მაიოროვი, სარიჩევი, კაპსინი, ვალკოვი, გრიშინი, კოხი, სადოვნიკოვი (ოსიანინი), გეცკო, ფედოროვი, კიკინი.

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, მეტრეველი, აფშევი, ბარქაია, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი: ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

გუშინდელი მატჩი დინამოელებმა მეტისმეტი სიდინჯით, ნელ ტემპში დაიწყეს. ბურთის გათამაშებას ნახევარმცველები და ფორვარდები დიდ ხანს უნდებოდნენ. შეტევა ვითარდებოდა ძალზე ინერტულად, რამაც სტუმრების დაცვას საშუალება მისცა თავიდანვე მოეხდინათ ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა საჯარიმო მოედანზე და მინდვრის შუაგულშიც. მათ საკმარისი დრო რჩებოდათ საიმისოდ, რომ დინამოელთა შენელებული იერიშისას მოეხდინათ ძალთა სათანადო გადაჯგუფება ყველაზე სახიფათო პუნქტებში, საიდანაც მოგერიებულ ბურთს თავისუფლად დარჩენილი მოთამაშე (ეს ფუნქცია, ძირითადად ეკისრებოდა ფედოროვს) ანაწილებდა აუჩქარებლად, ისე რომ თბილისელებს არ ჰქონდათ განმეორებითი შეტევის საშუალება. სწორედ გუნდის კაპიტანი და ძირითადი ტაქტიკური ერთეული - ფედოროვი ასრულებდა მთავარი გამთამაშებლის როლს კუიბიშეველთა კოლექტივში და თბილისელთაგან არავის მოუვიდა აზრად მოეხდინა მოწინააღმდეგის მთავარი ძალის ლიკვიდაცია.

მე-7 წუთისათვის “კრ. სოვეტოვის” კართან ორჯერ შეიქმნა საგოლო მომენტი, მაგრამ სტუმრებმა თავი დააღწიეს ხიფათს, ხოლო მე-9 წუთზე თითქმის სრულიად მარტივ, უბრალო სიტუაციაში გაიტანეს გოლი, რომლის გაქვითვას თბილისელები მოუნდნენ მატჩის ბოლო წუთებამდე. კოხმა საჯარიმო მოედანზე გადაიყვანა ბურთი. აქ მცველებმა არასწორად აირჩიეს ადგილები, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენა ფედოროვმა. მან ზუსტად გაიყვანა გარღვევაზე კიკინი, ლეჟავამ უდროოდ დატოვა პოზიცია და XXVI ჩემპიონატის პირველი გოლი დინამოელთა კარში გატანილ იქნა.

“კრ. სოვეტოვი” თავის სტიქიაში მოექცა. გუნდი საიმედოდ ჩაჯდა დაცვაში, შექმნა მტკიცე ზურგი და არ მისცა საშუალება მოწინააღმდეგეს ფართოდ, ტემპში გაეშალა თამაში. ამას ხელი შეუწყო თბილისელთა თავდასხმის ხაზის უსისტემო მოქმედებამ. ფლანგები არ იჩენდნენ აქტიურობას, ცენტრში სისტემატურად კარგავდა ბურთს აფშევი, მეთოდური, მოფიქრებული შეტევის ნაცვლად გუნდი თამაშობდა ცალკეული გარღვევების საშუალებით, ეს კი ხელს უწყობდა სტუმრებს საჯარიმო მოედანზე დიდი ძალების თავშეყრაში. ინდივიდუალური წესით გასვლა იქ თითქმის შეუძლებელი იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისი შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო კუიბიშეველთათვის: მეკარე სიკოლოვი შორს გასული აღმოჩნდა თავისი პოსტიდან და გრიშინმა მეტრეველის მიერ თავით დარტყმულ უიმედო ბურთს მიუსწრო ზედ კარსი ხაზზე. ასეთი მომენტებიდან თავის დაღწევა გარკვეულ სტიმულს აძლევს გუნდს და “კრ. სოვეტოვის” განთქმული დაცვაც კვლავ შეუდგა თავის საქმეს: 7-8 მოთამაშე რეგულარულად მოქმედებდა საჯარიმო მოედანზე და ყოველი საშუალებით (მხედველობაში გვაქვს დროის არასპორტული გაყვანა, უხეშობა, კამათი) ცდილობდა მიღწეული უპირატესობის შენარჩუნებას.

და უნდა ითქვას, “კრ. სოვეტოვი” ძალზე ახლოს იდგა დასახული მიზნის შესრულებასთან. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა საპასუხო გოლი კი არ ჩანდა. თბილისელთა შეტევა შეტევას მოსდევდა. სტუმრების ნახევარზე გადმოდიოდნენ თითქმის ყველანი, მაგრამ გზა კარის ასაღებად არ ჩანდა.

ხსნა მოვიდა 83-ე წუთზე პენალტის სახით. ბარქაია მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მეკარის მოედანზე და მასთან ბრძოლაში მიწაზე აღმოჩნდნენ სოკოლოვი, სარიჩევი და კაპსინი. ამ უკანასკნელმა ხელი შეახო ბურთს და ბ. სტრელეცკიმ უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი დარტყმა.

პენალტის სისრულეში მოყვანა მიენდო მეტრეველს. ფორვარდმა ამ უაღრესად საპასუხისმგებლო ვითარებაში გამოიჩინა საჭირო სიმშვიდე, ნერვების სიმტკიცე და ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში - 1:1.

ქულა გადარჩენილ იქნა.

ა. ნადირაძე.

“ლელო”, 16 აპრილი, 1964 წ.